

სპორტიული

Sydney 2000 



ქაიხურაძე

ქვიციანი

შინკაძე

3 **გიგა კობახიძე**
აქიეთ მასაჟი
სექტემბერი საოცარი თვე იყო

5 **მამუკა კვანტალიანი**
მორს იყო დიუსელდორფი
„კასტორიას“ მერე, 1980 წლის შემოდგომაზე „დინამომ“ „უოტერფორდი“ დაამარცხა

8 **მეჩვიდმეტი გარდაცვალება**
გავისხენოთ მსოფლიოს ჩემპიონატები

10 **ირაკლი გამყრელიძე**
სუნიკაგიო, ყვითელი და ლაშაი
საქართველოს მეტოქე — რუმინეთი

10 **გიორგი დარჯანიძე**
სუნიკო მარცხიანი
საქართველოს მეტოქე — ლიტვა

11 **სტეფანო ბუტაშვილი**
ოქსფორდი დიდი ყოფილა...
საქართველოს მეტოქე — უნგრეთი

12 **მისიელ სურგულაძე**
სამ მარცხი
საქართველოს მეტოქე — იტალია

14 **მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კალენდარი**

17 **ათასწლეულის ოლიმპიადი**
Sydney 2000

18 **ბრინჯაოს მედალი**
ქართველი პრიზიორები

19 **ყველა მედალისანი**

26 **ავთანდილ გურასაშვილი**
ოჟი. ოჟი. ოჟი!
გემბანზე ძილი არ შეიძლება

13-16 გვერდი
ალესანდრო დელ პიერო (იტალია, „იუვენტუსი“)
ბარეკანაძე
I გიორგი ვაზაგაშვილი. სიდნეი 17.09.2000
III სიდნის ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალი. 11.09.2000
IV კიევის „დინამო“. 19.09.2000



ისევ „ლიდსი“ და თურქები. მართალია, არა „ბალათასარი“, მაგრამ მაინც... „ბეშიქთაშის“ შეხვედრებმა მასპინძლებს 11 თაბგული მიართვეს, „ლიდსის“ შეხვედრებმა კი სტუმრებს 6 გოლი გაუტანეს — პირველი და გოლო ლი გოიერისა იყო, ვინც არც მსველებს მორიდებია და არც კარის ქელებს. 18 ოქტომბერს „ბეშიქთაში“ — „ლიდსია“. ისევ სტამბოლი და „ლიდსი“.

რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი დამით ნადირაშვილი
ოპერატორი მამუკა დობრაშვილი

მრჩეველთა საბჭო: ვახტანგ ზვიაძე, სოლომონ გულისაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ზურაბ მესველია, ზურაბ ფოცხვერია

ბეჭედი სარბიელის დაბეჭედი

რეკლამა ჟურნალ «სარბიელი» — 93 16 08



UEFA
CHAMPIONS
LEAGUE

ეძიეთ მეასამა

გიგა კოზანიძე

უკვე ახალ საუკუნეს თუ ათასწლეულში ვცხოვრობთ თუ ეს ბედნიერება სამიოდ თვეში გვეწვევა ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არა აქვს — მომავალი წლის 23 მაისს მილანის „სან სიროზე“ XXI საუკუნის ჩემპიონთა თასის პირველი მფლობელი გამოვლინდება.

იქამდე შორია, მხოლოდ სამი ტურია გასული. შემდეგ ჯგუფში გადასვლასაც ჯერ მხოლოდ „არსენალი“ და „უალენსია“ დაახლოვდებიან — ამით ქულა რაა, ისიც არ დაუკარგავთ. არადა, რა ძნელია ამის გაკეთება ჩვენს დროში.

„არსენალი“ გავისწავლო. ჩრდილოლონდონელები ბოლოსდაბოლოს მიხვდნენ, რომ გადაჭედული „უემბლი“ ვერაფერი დაზმარება და „ჰაიბერის“ დაუბრუნდნენ. პირველი სალიგო მატჩი მშობლიურ სტადიონზე თან საუბულო — „არსენალი“ მეასედ თამაშობს ევროთასებზე. წინა 99-ში „მეთოფეებს“ 49-ჯერ მოუგიათ და ამრგვალებენ, აბა, რას იზამენ — მათი მეტოქე ხომ უეფას ვერსიით 32-ში უსუსტესი დონეცკის „შახტარი“- 29-ე წუთზე „შახტარი“ 2:0-ს იგებს. ანრი, კანუ ბერესკამბო... გმირი კი მარტინ კიოუნი გახდა. ვენგერის გუნდი მეორე ასეულს



REUTERS

ჰამბურგი - იუვენტუსი 4:4. ნაქვეული ჰამბურგელი ჯარდოსო და ტარინელი ჰიტბული ედგარ დავიდსი წლის მატჩში

იტალიის ჩემპიონთან მატჩით ხსნის და ამას, საიუბილეოსან განსხვავებით, უპრობლემოდ იგებს.
საოცარი რამ სჭირს ლისაბონის „სპორტინგს“. სამივე შეხვედრაში პირველი ბურთი (რეალთან მთლად პირველი ორი) გააქვს, საერთო მონაგარი კი

ოღენ ქულაა სამეტიროდ იმვე ჯგუფში მადრიდის „რეალი“ აგროვებს შვიდ ქულას. არადა, სამიდან ორი თამაშის პირველ ტაიმებს პირწმინდად აგებს „ბაიერნი“ შინ 73-ე წუთამდე მარცხდება „რუსენბორგთან“, მაგრამ შვიდ წუთში უკვე 3:1-ია. ასეთივე ანგარი-


შით უგებს ერიკ გერეტსის „ეინდჰოვენი“ სერ ალექსის „იუნაიტედს“, თუმცა კი მეორე წუთზევე აგებდა. მოკლედ, ჩვენს დროში და ლიგაში პირველი გოლის ფაქტორი რომ ანსწენოთ, ან ინტრიგანი უნდა იყოთ, ანაც ქართველი მწვრთნელი.

სიხარული ჰირველი: „სპორტინგი“ იწყებს და



REUTERS

მანჩესტერი - ანდარლახები 5:1. ენდი აკოლმა ჰეთ-თრიხი შეასრულა



REUTERS

REUTERS



ჯორჯია: ჯორჯ ბატონოძე „გალათასარაიდას“

დიახ, ახალი დროა. როგორი? აშკარად განსხვავებული. უფრო კონკრეტულად? კი ბატონო.

სექტემბერი ლიგაში იყო ზღაპრული: 63 გოლი პირველი ტურის 16 მატჩში, აქედან რვა ბუერის მიერ წლის მატჩად მონათლულ „ჰამბურგი“ — „იუვენტუსის“ შეხვედრაში.

სექტემბერი ლიგაში იყო გიჟური: „ბარსელონა“ მოიგო 4:0, მერე წააგო 0:4; „ლიდსმა“ წააგო 0:4. მერე მოიგო 6:0; „ბეშიქთაშმა“ წააგო 1:4, მერე მოიგო 3:0, ამის მერე წააგო 0:6; „შტურმმა“ წააგო 0:3, მერე მოიგო 3:0, ამის მერე წააგო 0:5... „რუსენბორგმა“ მოიგო 6:1, სამაგიეროდ 5:1-ის მერე 1:1 წააგო „მანჩესტერ იუნაიტედმა“.

სექტემბერი ლიგაში იყო... გადასარევი გოორგი დემეტრა-



გიორგი დემეტრაძისთვის სექტემბერი ბრწყინვალე გამოდგა

ძისთვის, ვინც დაბადების დღე „ანდერლეხტის“ კარში წყვილი გოლით აღნიშნა — პირველი ქართული დუბლი ლიგაში. ჩვენც მეტი რა გვინდა? ვუყუროთ და ვისიამოვნოთ,

ემოციები კი გაზაფხული-სთვის შემოვიანახოთ. ჯერ-ჯერობით, ლიგამ მხოლოდ იმაზე უნდა გასცეს პასუხი, ვინ აიღებს... უეფას თასს. ჩაზედეთ ცხრილებს — უე-

ფას თასზე გადასვლელ მესამე ადგილებზე არიან „ბაიერნი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლევერკუზენი“, „ბარსელონას“ კი ჯერ ესაც სანატრელი გახდომია.

ბაჰიქთაში - ბარსელონა 3:0. აჰმად დურსუნა „ბარსელონას“ ორი გოლი გაუბანა



უორს იყო დიუსელდორფი კაპანი მკაუდონისა



1980-81 წლების სპორტის თანხების მფლობელთა თასი. მკაუდონისა
22.X.1980 უოტერფორდი სტ. „კილკოპან პარკი“ 3 000 მაყურებელი

უოტერფორდი (ირლანდია) 0:1 დინამო თბილისი

0:1 შენგელია (50)
უოტერფორდი: თომასი, ოშეპონი (ფიტცპატრიკი 83), გარდნერი, ფინიუკენი, დენტი, ჯეკსონი, მიურეი, შედიგენი, კერვი, შაკარტი (კერი 73), მიგენი
დინამო: გაბელია, კოსტაგა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სულაქველიძე, ქორიძე, გუცაგუა (ჩელევაძე 20), ყიფიანი, შენგელია (კერესელიძე 83)
მსაჯი: ნ. როლსი (ლუქსემბურგი)

5.XI.1980. თბილისი. სტ. „დინამო“ 70 000 მაყურებელი

დინამო თბილისი 4:0 უოტერფორდი (ირლანდია)

1:0 დარასელია (66), 2:0 ჩივაძე (74), 3:0 დარასელია (79), 4:0 ჭილაია (87)
დინამო: გაბელია, კოსტაგა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი (ჭილაია 82), დარასელია, სულაქველიძე, ყიფიანი (ჯოხაძე 84), ჩელევაძე, ყიფიანი, შენგელია
უოტერფორდი: თომასი, ოშეპონი, გარდნერი, ფინიუკენი, დენტი, ჯეკსონი, მიურეი, შედიგენი, კერვი, შაკარტი, მიგენი
მსაჯი: ი. ფიფოვი (ბულგარეთი)

მამუკა კვანტალიანი

- ჯერაც 1980 წლის შემოდგომა იდგა ლენინობისთვის იწურებოდა და ძალიან შორს იყო დიუსელდორფული სიხარული...
საქართველოში ბრძანდებოდა დიდი ფეხბურთი, ძალიან ლამაზი და სიხარულის მომნიჭებელი. მაშინ ქომაგი ღამეებს ათენებდა, რათა მატჩზე დასასწრები ბილეთი როგორმე ხელში ჩაეგდო. მოზარდებს ვერც

გადაეწყვიტათ, თავიანთ მისურებზე რომელი ნომერი დაეკრათ. ვარსკვლავების გუნდი გვყავდა, „დინამო“! პირთამდე ივსებოდა სტადიონი, ზანზარებდა და იქვე ოღა იქაურობა.
- არა, ძალიან კარგი იყო 20 წლის წინ.
ბერძნული „კასტორია“ უკან დარჩა. მერვედფინალში მეტოქედ ირლანდიის „უოტერფორდი“ გვარგუნა წილისყრამ.


მაშინ ჯერაც არავინ ფიქრობდა სანუკვარ თასთა თასზე. პირველი გამოცდა ჩაბარებული იყო და უკვე „დინამოს“ უნდა გამოეცადა მეტოქე, რადგან ყველამ ვიცოდით, დილა და პატარამ, ირლანდიელები ჩვენების შემფერხებლები არ იყვნენ.
„დინამო“ იშუშებდა ტრავმებს, ხვეწდა ტაქტიკას, ნელ-ნელა აღწევდა სრულყოფის პიკს.

1980-81 წლების თანხების მფლობელთა თასის ფინალში დინამო თბილისი სულაქველიძე ირლანდიელთა ჯარს უბრუნებს





საბაგილის არჩივიდან



ღაკით ყიფიანი ომაჰონეა ბელუა ახბა

"ლინაეო" - "უოტერფორდის" უოტერფორდული და თბილისური ჰროგრაფიბი

ქართველებმა „კილკოჰან პარკზე“, 3 ათასი მაყურებლის თვალწინ, ერთი გოლი აკმარეს მეტოქეს და თბილისში გამარჯვებულები დაბრუნდნენ. საპასუხო თამაშში ირლანდიელებს უნდა გაეძლიათ აღმაფრენით მოთამაშე მასპინძლებისთვის, რომლებსაც 70 ათასი ჭომაგი ამზნეებდა. ეს თითქმის მიუღწეველი იყო იმ დროისთვის. დაბნეული და დათრგუნული „უოტერფორდის“ შეცდომას შეცდომაზე უშვებდა.

მონუსხულმა სტუმრებმა ოთხი გოლი გაუშვეს ორჯერ მეტად კიდევ გადარჩნენ და „ლინაეოს“ გზიდან ჩამოეცალნენ.

ყველაზე სასიხარულო ის იყო, რომ ჩვენი „ლინაეო“ მეტოქეს ძალების დაზოგვით, დაუძაბავად გაუსწორდა გუნდს მეტი შეეძლო, ვაცილებით მეტი, მაგრამ დიუსელდორფამდე მაინც შორი იყო.

ჩვენ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ „ლინაეოს“ დამარცხება ჩვენთვის გადაუჭრელი პრობლემა აღმოჩნდა. ქართველებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ და ახლავა ვხვდები, თუ როგორ დაამარცხეს მათ

ინგლისური „ლივერპული“.

ირლანდიელთა თავკაც ტომი ჯექსონს საფეხბურთო დავროვებოდა მან იცოდა, რომ თბილისში უიმედოდ მიფრინავდა. „უოტერფორდისთვის“ ვეროსარბიულზე თამაში ფაქტობრივად დამთავრებულიც იყო, მაგრამ საიდან მოეტანა ჯექსონს საქართველოში გამოსამგზავრებელი ფული?

კლუბის მესვეურებს მაყურებლებისგან შემოსული თანხის იმედი ჰქონდათ, მაგრამ წვიმის გამო „კილკოჰან პარკზე“ მხოლოდ 3 ათასი ბილეთი გაიყიდა. ვერ მოფრინავდა „უოტერფორდი“ თბილისში.

ირალნდიურ კლუბს თანამემამულე სატრანსპორტო კომპანიის მფლობელი, შინ პაუერი შეეწია, მაგრამ თბილისში ჩამოსულებს სანუგეშო აღარა დახვედრიათ.

„როგორც მწვრთნელი, მე გაწბილებული და დაღონებული გახლავართ, მაგრამ როგორც სპორტსმენს მიხარია, რომ ასეთი საინტერესო მატჩის მონაწილე შევიქენი.

ორი კვირის წინაც ვიცოდი, რომ „უოტერფორდისთვის“ გათამაშება დას-

რულდა. ქართველებს მსოფლიო კლასის მოთამაშეები გყავთ, განსაკუთრებით ყიფიანმა მომზიბოლა. აბა, ტყუილად ხომ არ დამარცხდა „ლივერპული“?

ტომი ჯექსონს ინგლისური კლუბის მარცხი არ ავიწყდებოდა, თავისას შეგუებული იყო და საქართველოდან გაოგნებული და ემოციებით დატვირთული მიდიოდა.

ნოდარ ახალკაცი მაშინაც ლაკონური და საქმიანი ყოფილა. ფეხბურთელებს პასუხისმგებლობა და გარჯა მოუწონა, ბოლოს კი დაამატა, მეოთხედფინალში გასვლა არა მარტო ახალი საფეხურია, არამედ დამატებითი სტიმულია „ლინაეოსთვის“ ახალი საფეხბურთო სეზონის წინო.

20 წლის წინანდელ „ლელოს“ და „ფუტბოლ ხოკეიში“ კიდევ არავითარი საინტერესო ამბავს ამოიკითხავთ ირლანდიელთა და ქართველთა ორრანუნდინ დაპირისპირებაზე. ახლა კი იმ ბრძოლების მონაწილეც, თენგიზ სულაქველიძეს მოუვსმინოთ, რომელმაც, როცა გაიგო რაზეც შეგაწუხეთ, ამოიოსრა და რა დრო გასულაო, თქვა.

„ირლანდიელების გვეშინოდაო ვთქვა, არ ვიქნები მართალი, მაგრამ უცნობი მეტოქის რიდი მაინც გვექონდა.

უოტერფორდში ძაღლების სტადიონზე გვათამაშეს. იქ თურმე ხშირად ეწყობოდა ძაღლების დოდი.

მასხოვს, მინდვრის შუაგული ამობურცული იყო, კარებისკენ კი დაქანებული. მეტოქის ნახევარზე გადასული ოთარ გაბელიას ვერც ვხვდავდი.

მოწინააღმდეგის გასაშიფრად ოციოდ წუთი დაგვეჭირდა, მერე საგოლე მომენტებიც შევექმენით, რამაზ შენგელიამაც დაგვაწინაურა, ოთარ გაბელიამ ორჯერ გადაგვარჩინა და მოვიგეთ.

არ ვიცი რატომ, საპასუხო მატჩის დებიუტშიც შებოჭილები ვიყავით. მერე მეტოქემ ვერ დაგვაძაგრა.

შეიძლება ბევრმა არც დაიჯეროს, მაგრამ ძალიან ბევრს ვშრომობდით. მოს-

ვიბალდი დარასკულიამ მებოქანებს ბურთი არ დანება



საბაგილის არჩივიდან

რულდა. ქართველებს მსოფლიო კლასის მოთამაშეები გყავთ, განსაკუთრებით ყიფიანმა მომზიბოლა. აბა, ტყუილად ხომ არ დამარცხდა „ლივერპული“?

ტომი ჯექსონს ინგლისური კლუბის მარცხი არ ავიწყდებოდა, თავისას შეგუებული იყო და საქართველოდან გაოგნებული და ემოციებით დატვირთული მიდიოდა.

ნოდარ ახალკაცი მაშინაც ლაკონური და საქმიანი ყოფილა. ფეხბურთელებს პასუხისმგებლობა და გარჯა მოუწონა, ბოლოს კი დაამატა, მეოთხედფინალში გასვლა არა მარტო ახალი საფეხურია, არამედ დამატებითი სტიმულია „ლინაეოსთვის“ ახალი საფეხბურთო სეზონის წინო.

20 წლის წინანდელ „ლელოს“ და „ფუტბოლ ხოკეიში“ კიდევ არავითარი საინტერესო ამბავს ამოიკითხავთ ირლანდიელთა და ქართველთა ორრანუნდინ დაპირისპირებაზე. ახლა კი იმ ბრძოლების მონაწილეც, თენგიზ სულაქველიძეს მოუვსმინოთ, რომელმაც, როცა გაიგო რაზეც შეგაწუხეთ, ამოიოსრა და რა დრო გასულაო, თქვა.

„ირლანდიელების გვეშინოდაო ვთქვა, არ ვიქნები მართალი, მაგრამ უცნობი მეტოქის რიდი მაინც გვექონდა.

უოტერფორდში ძაღლების სტადიონზე გვათამაშეს. იქ თურმე ხშირად ეწყობოდა ძაღლების დოდი.

მასხოვს, მინდვრის შუაგული ამობურცული იყო, კარებისკენ კი დაქანებული. მეტოქის ნახევარზე გადასული ოთარ გაბელიას ვერც ვხვდავდი.

მოწინააღმდეგის გასაშიფრად ოციოდ წუთი დაგვეჭირდა, მერე საგოლე მომენტებიც შევექმენით, რამაზ შენგელიამაც დაგვაწინაურა, ოთარ გაბელიამ ორჯერ გადაგვარჩინა და მოვიგეთ.

არ ვიცი რატომ, საპასუხო მატჩის დებიუტშიც შებოჭილები ვიყავით. მერე მეტოქემ ვერ დაგვაძაგრა.

შეიძლება ბევრმა არც დაიჯეროს, მაგრამ ძალიან ბევრს ვშრომობდით. მოს-

მზადებულ ეტაპზე დღეში სამჯერ ვეარჯიშობდით, მერე ორჯერადი წვრთნა გვექონდა.

ახლა რომ ვუფიქრებდი, უდიდესი სტრატეგია იყო ცხონებული ახალკაცი. თითქოს მომავალი ხელის გულზე ელოდა ზევიდან დაჰყურებდა. დღეს გამყვინდინიან დასუსტებულ პრინციპზე გადავიდეთ. ახალკაცი 20 წლის წინ გვატამაშებდა ამგვარად.

საერთოდ, მაშინდელი „დინამო“ დიდი გამარჯვებებისთვის მომწიფებულიც იყო. საბჭოთა კავშირში ყველაფერი მოგებული გვექონდა: ჩემპიონობა, ვერცხლი, ბრინჯაო და თასიც. რაღაც დიდი უნდა მოგვეყო.

ლაშის მივლი საბჭოთა ნაკრებიც ჩვენ ვიყავით ნოდარ ახალკაცი კი სულ ამას ამბობდა, ისეთი თაობა ხართ შეყრილი, რომ ვერც წარმოგედგინათ რა შეგიძლიათ. ყველაფრის გვერდზე გადასვას და მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრს გვირჩევდა. იცოდეთ, ვაგახარებთ ქართველ ერს და ჩვენც ვავიხარებთ.

„უოტერფორდის“ დამარცხება ძნელი არ ყოფილა. ჩვენ გვეჭამდა, რომ ნებისმიერ გუნდთან ტოლ-სწორად თამაში შეგვეძლო, მაგრამ იმ 5 ნოემბერს არც ერთ ჩვენგანს გულში არ ვაფულავ, რომ თასს საქართველოს ვაჩუქებდით.

ჩვენ ახალკაცი ხელში ვითამაშეთ დიდი ფეხბურთი. მან დიდი მოთამაშეებად გვაქცია. აბა, როგორ უნდა მოევო მისთვის ბერძენ, ირლანდიელი და გენუბაეტი, ინგლისელ კოლეგას.

ახლა ვხვდები, ახალკაციისთვის რომ ბოლომდე დაგვეჯერებინა, მისი ყველა მითითება შეგვესრულებინა უფრო დიდი ფეხბურთელები ვიქნებოდით.

ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ ქართველ ქომაგს, საქართველოს, უდიდესი სიხარული რომ ვაჩუქეთ.

1981 წლის გაზაფხულამდე გვარიანი დრო იყო „უოტერფორდის“ შემდეგ „დინამო“ დამსახურებულად ისვენებდა. მეოთხედინალების წილისყრაში ინგლისური „ვესტ ჰემი“ არგუნა საქართველოს ოცნების გუნდს. იმედი გაორმაგებულიყო, მაგრამ დიუსელდორფი ჯერაც შორს იყო, წარმოუდგენლად შორს.

20 წლის წინ მილიონების ნატვრა „დინამომ“ რეალობად აქცია.

შახხურთი

პირველად — მეოთხედინალები

„დინამო“ (თბილისი, სსრკ) — „უოტერფორდი“ (ირლანდია) 4:0

<p>თბილისი. ვ. ა. დინამოს სხედისის „დინამო“ სტადიონი. 5 ნოემბერი.</p> <p>„დინამო“ (თბილისი) — „უოტერფორდი“ (ირლანდია) 4:0 (0:0)</p> <p>„დინამო“: გაბელა, კობტავა, ზეპაძე, ხაჩიძე, ივანიძე, შვანია (ქვიციანი), ღარიბაშვილი, სულკველიძე, ვასია (ქობინაძე), მელიქიძე, უჩუაძე, ზუგდიდი.</p> <p>„უოტერფორდი“: თომასი, იზინგი, ვარდინი, დინანო, დიანი, ჯეისონი, ჰენრი, მელანტი, კარტი, მაკარტი, მაგანი.</p> <p>შპაი ა. ვეიერი (ბელგიელი). გაფრთხილებულია შვანია.</p> <p>როცა „უოტერფორდის“ და თბილისის „დინამოს“ პირველი შეხვედრა დამარცხდა (ბრალდებაში თბილისელებმა გამოარკვეს ანგარიში 1:0), „უოტერფორდის“ მოთამაშე-ფეხბურთელებს თ ქაქოსანმა განაცხადა: „ჩვენ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ თბილისელებთან გარკვეულ მოპოვებას ვერ მოახლოვდით ამიტომაც იყო თბილისის „დინამო“ კარგი ბუნდა და ახლა ადვილად მისახვედრია, თუ ჩიტომ დაამარცხა მან შარში ინგლისის „ლეიტვორდის“ ნიშნად და არ მოთამაშე-ფეხბურთელს ეს სიტყვები მისი კლუბის ფრთხილ კაპიტულაციას განმეორებდა. მატჩის წინ თუ ეს ასეა, მაშინ სრულიად სწინააღმდეგურ ნიშნებზე გავსა იმავე თ. ქაქოსანს განცხადება, რომელსაც მან ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში გააყეთა თბი-</p>	<p>ლისის აეროპორტი: წარმატების იმედით ვართ გამსჭვალული. მაართლს, შინ რომ წაგებენ ვეროქული ტერორის მატჩს. გაველაჟმეთი ოპტიმისტური განცხადებითი ნაყები საფრთხიელ უნდა გქონდეს.</p> <p>„თუ ესე, გარკვეული ინტრიგა მატჩის წინ შეიქმნა.“</p> <p>მართლაც, პირველმა ტაიმმა თბილისელებს ვერაფერი მოუტანა, თუმცა ინიციატივა — სრული უფრო — მათ გეტოვროდით და ბურთი გამუდმებით ტრიალებდა სტუმართა ნახევარზე. ის ერთერთი შეტევა: ირლანდიელებმა რომ წაიჭივანეს, სკარბოროს მისამართებთანვე ჩაფრფხეს მასპინძელთა შვილებმა და ჩვენს მეკარეს სერიოზული საჭმე არც გაჩინია.</p> <p>„სეთ ვითარებაში გადიოდა წუთები, თბილისელთა შეტევებს შეტევა მისდევდა, მაგრამ „უოტერფორდის“ მეკარე მოწოდების სიძალადე იდგა. თუმცა იყო მომენტები, როდესაც უთვანის, შემდეგ კი ვასიას დარტყმები კარის ძეღმას მოიჭერია, მაგრამ საერთო კაში თბილისელთა შეტევებს აკლდა სიწყავე. მხოლოდდროება, ანგარიშის გაუხსნელია ალბათ აშაინ გაჩაირობა.“</p> <p>შეორე ტაიმი თითქმის პირველი ანალოგიით დაიწყო — ირლანდიელთა ნახევარი, მათი სკარბორო დინანი თბილისელთა გამუდმებულ შეტევას იბიებდა. იქცეს სტუმართა მეკარე თომასის მზადყოფნა რამდენიმე „მისინა“ უთვანამ, შემდეგ ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდნენ შემხვლია, სულაველიძე ჩელაბაძე...</p>
--	--

ა. შირიძე

„ლელო“ დინამოელთა წარმატების შახხურთი

ამერიკული ფეხბურთის შედეგები

დინამო (თბილისი, სსრკ) — უოტერფორდი (ირლანდია) 4:0 (1:0)

ვალინსია (ესპანეთი) — კარლ ცანისი (იენა, გერ) 1:0 (1:3)

ნიუპორი (უელსი) — ჰაუგარი (ნორვეგია) 6:0 (0:0)

ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) — ჰეიდორე (დანია) 1:0 (2:1)

ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) — მალმიო (შვედეთი) 2:0 (0:1)

სლაფია (სოფია, ბულგარეთი) — სპარტა (პრაღა, ჩეხოსლოვაცია) 3:0 (0:2)

ამერიკული ფეხბურთის შედეგები

სეპტიმი (ლონდონი, ინგლისი) — დინამო (თბილისი, სსრკ)

სლაფია (სოფია, ბულგარეთი) — ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია)

კარლ ცანისი (იენა, გერ) — ნიუპორი (უელსი)

ფორტუნა (დიუსელდორფი, გერ) — ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია)

მაკარე თომასის თავიანთი და ახალკაცი



მეჩვიდმეტე გელა

დაიწყო უდიდესი სპორტული შეჯიბრება, რომელსაც მსოფლიოს მე-17 საფეხბურთო ჩემპიონატი ეწოდება. დღეს მის დასვენით ეტაპზე მოხვედრის შანსი უამრავ ქვეყანას აქვს, მაგრამ 2001 წლის ბოლოსთვის დასრულებული შესარჩევი რაუნდი დაასახელებს 29-ს, რომლებიც ჩემპიონ საფრანგეთთან და საბოლოო სტადიის მასპინძლებთან, იაპონიასა და კორეასთან ერთად 2002 წელს „გალა სანახობას“ მოაწყობენ.

„გალა სანახობა“ ასე ჩატარდება: შეიქმნება რვა ოთხგუნდიანი ჯგუფი. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი შეჯიბრებას პლეი-ოფის სისტემით გააგრძელებენ, დანარჩენები კი შინ გაემგზავრებიან. პლეი-ოფში, ფრის შემთხვევაში დაინშნება დამატებითი დრო, ხოლო თუ ისიც ფრედ დასრულდა, პენალტების სერია.

თეორიულად იქ შეიძლება საქართველოს ეროვნული გუნდიც მოხვდეს. ქვემოთ კი, მოდიოთ გასული 16 ჩემპიონატი, მათი ფორმატი, ფინალები, მესამე ადგილისთვის მატჩები და მონაწილეები გავიხსენოთ.

1930



ურუგვაი
(13 მონაწილე)

შესარჩევი შეჯიბრება არ ჩატარებულა. ორგანიზატორებმა მიიწვიეს 13 გუნდი და ოთხ ჯგუფად დაყვეს. სამ ჯგუფში სამ სამი შეიყვანეს, ერთში — ოთხი. ჯგუფების გამარჯვებულები ნახევარფინალში გავიდნენ, ხოლო ნახევარფინალების გამარჯვებულები ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ფინალი ურუგვაი — არგენტინა 4:2 მონაწილეები: არგენტინა, აშშ, ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, იუგოსლავია, მექსიკა, პარაგვაი, პერუ, რუმინეთი, საფრანგეთი, ურუგვაი, ჩილე.

შემა. ნახევარფინალების შემდეგ გაიმართა ფინალი და მატჩი მესამე ადგილისთვის.

მატჩი მესამე ადგილისთვის: გერმანია — ავსტრია 3:2

ფინალი: იტალია — ჩეხოსლოვაკია 2:4 (1:1)

მონაწილეები: ავსტრია, არგენტინა, აშშ, ბელგია, ბრაზილია, გერმანია, ეგვიპტე, ესპანეთი, იტალია, რუმინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია, პოლანდია.

1934



საფრანგეთი
(15 მონაწილე)

შესარჩევა შეჯიბრებაში გაარკვია 14 გუნდის ვინაობა, რომელთაც ავტომატურად დაემატნენ მასპინძელი საფრანგეთი და ჩემპიონი იტალია, მაგრამ საბოლოოდ თავი თხოვრებამ მონაწილემ მოიყარა. საქმე ის გახლდათ, რომ შესარჩევი გამარჯვებული ავსტრია ნაცისტურმა გერმანიამ დაიპყრო და მისი ფეხბურთელები თავის ნაკრებში შეიყვანა, გუნდის დაკლების გამოც შვედეთის ნაკრები პირდაპირ მეორე ეტაპზე დასვეს. ფორმატი კი ამჟღავნად ძველებური გახლდათ გუნდებს აწყვილებდნენ პლეი-ოფის სისტემით არკვევდნენ შემდეგ სტადიაზე გასულებს და გამოთიშულებს.

მატჩი მესამე ადგილისთვის: ბრაზილია — შვედეთი 4:2

ფინალი: იტალია — უნგრეთი 4:2

მონაწილეები: ბელგია, ბრაზილია, გერმანია, იტალია, კუბა, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია, პოლანდია, პოლანდიის ისტ ინდოეთი.

1950



ბრაზილია
(13 მონაწილე)

შესარჩევა შეჯიბრებაში გამოავლინა 11 მონაწილე, რომელთაც დაემატნენ ჩემპიონი იტალია და მასპინძელი ბრაზილია. შეიქმნა ორი ოთხგუნდიანი, ერთი სამგუნდიანი და ერთიც ორგუნდიანი ჯგუფი. თითოეული ჯგუფის გამარჯვებული გავიდა დასვენით ჯგუფში, სადაც მეტოქეები თითოჯერ შეხვდნენ ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონად დასახელდა ამ ჯგუფის გამარჯვებული ურუგვაი. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან გადაწყვეტი შეხვედრა ბრაზილიისა და ურუგვაის შორის კალენდრის მიხედვითაც ბოლო გამოდგა ბერმა იგი შეჯდომით ფინალად აღიქვა. ამ მატჩში ურუგვაიმ გაიმარჯვა 2:1.

მონაწილეები: აშშ, ბოლივია, ბრაზილია, ესპანეთი, ინგლისი, იტალია, იუგოსლავია, მექსიკა, პარაგვაი, ურუგვაი, შვედეთი, შვეიცარია, ჩილე.

შოტლანდიამ, თურქეთმა და ინდოეთმა შესარჩევი შეჯიბრებაში კი გაიმარჯვეს მაგრამ ფინალურ ეტაპზე აღარ გაემგზავრნენ.

1954




შვეიცარია
(16 მონაწილე)

შესარჩევა შეჯიბრებაში გამოავლინა 14 მონაწილე. მათ დაემატნენ

ტნენ მასპინძელი შვეიცარია და ჩემპიონი ურუგვაი. პირველ ეტაპზე შეიქმნა ოთხი ჯგუფი, ოთხი წლისწინს დროს ისტორიაში პირველად მოხდა ორი გუნდის გათესვა. ჯგუფებში პირველ და მეორე ადგილებზე გასულები გავიდნენ მეოთხედფინალში, რასაც ნახევარფინალი და ფინალი მოჰყვა. მატჩი მესამე ადგილისთვის არ გამართულა.

ფინალი: გ.ფრ. — უნგრეთი 3:2 მონაწილეები: ავსტრია, ბელგია, ბრაზილია, გფრ, თურქეთი, ინგლისი, იტალია, იუგოსლავია, მექსიკა, სამხრეთ კორეა, საფრანგეთი, უნგრეთი, ურუგვაი, შვეიცარია, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია.

1958



შვედეთი
(16 მონაწილე)

შესარჩევა შეჯიბრებაში გამოავლინა 14 მონაწილე, რომელთაც დაემატნენ მასპინძელი შვედეთი და ჩემპიონი გფრ. პირველ ეტაპზე შეიქმნა ოთხი ოთხგუნდიანი ჯგუფი, რომელთა გამარჯვებულები და მეორე ადგილებზე გასულები გავიდნენ მეოთხედფინალში. ამის შემდეგ შეჯიბრება პლეი-ოფის სისტემით გაგრძელდა. კვლავ ადგა მატჩი მესამე ადგილისთვის.

მატჩი მესამე ადგილისთვის: საფრანგეთი — გფრ 6:3

ფინალი: ბრაზილია — შვედეთი 5:2

მონაწილეები: ავსტრია, არგენტინა, ბრაზილია, გფრ, ინგლისი, იუგოსლავია, მექსიკა, პარაგვაი, საფრანგეთი, სსრკ, უელსი, უნგრეთი, შვედეთი, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია, ჩრდილოეთ ირლანდია.

1954



იტალია
(16 მონაწილე)

პირველად ჩატარდა შესარჩევი შეჯიბრება, რომელმაც თექვსმეტი მონაწილე გამოავლინა. შესარჩევის გზით მოხვდა მასპინძელი, იტალიის ნაკრებიც.

ჩემპიონატი პლეი-ოფის სისტემით ჩატარდა. ანუ გუნდები კონსიყრით დაწყვილდნენ, გამარჯვებულები შემდგომ ეტაპზე გავიდნენ, დამარცხებულები კი გათამაშებას გამოეთიშნენ. ფრის შემთხვევაში ინიშნებოდა გადათამა-

1962



ჩილე (16 მონაწილე)

შესარჩევმა ეტაპმა გამოავლინა 14 გუნდი მათ დაუმატნენ მასპინძელი ჩილე და ჩემპიონი ბრაზილია. სხვა ვეულაფერი წინა ჩემპიონატის მსგავსად მოხდა, ოღონდ, ჯგუფებში პირველ-მეორე ბურთების სხვაობით გაარკვეეს. მატჩი მესამე ადგილისთვის: ჩილე — იუგოსლავია 1:0
ფინალი: ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია 3:1
მონაწილენი: არგენტინა, ბრაზილია, ბულგარეთი, გფრ, ესპანეთი, ინგლისი, იტალია, იუგოსლავია, კოლუმბია, მექსიკა, სსრკ, უნგრეთი, ურუგვაი, შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია, ჩილე.


1974



გფრ (16 მონაწილე)

შესარჩევმა ეტაპმა გამოავლინა 14 მონაწილე, რომელთაც მასპინძელი გფრ და ჩემპიონი ბრაზილია დაუმატნენ. პირველ ეტაპზე შედგა ოთხი ოთხგუნდიანი ჯგუფი, რომელთა პირველ და მეორე ადგილებზე გასულეებმა შექმნეს მეორე ეტაპის ორი ჯგუფი მეორე ეტაპზე პირველ ადგილებზე გასულნი ფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მეორე ადგილებზე გასულეებმა კი მესამე ადგილი გაითამაშეს.
მატჩი მესამე ადგილისთვის: პოლონეთი — ბრაზილია 1:0
ფინალი: გფრ — პოლანდია 2:1
მონაწილენი: ავსტრალია, არგენტინა, ბრაზილია, ბულგარეთი, გფრ, გფრ, ზაირი, იტალია, იუგოსლავია, პოლონეთი, ურუგვაი, შვედეთი, შოტლანდია, ჩილე, შაიტი, პოლანდია.

1966



ინგლისი (16 მონაწილე)

ყველაფერი წინა ჩემპიონატის მსგავსად წარმართა. მატჩი მესამე ადგილისთვის: პორტუგალია — სსრკ 2:1
ფინალი: ინგლისი — გფრ 4:2
მონაწილენი: არგენტინა, ბრაზილია, ბულგარეთი, გფრ, ესპანეთი, ინგლისი, იტალია, ესპანეთი, კანადა, ინგლისი, იტალია, მაროკო, მექსიკა, პორტუგალია, საფრანგეთი, სსრკ, უნგრეთი, ურუგვაი, შვეიცარია, ჩილე.

1978



არგენტინა (16 მონაწილე)

ფორმატი განმეორდა მატჩი მესამე ადგილისთვის: ბრაზილია — იტალია 2:1
ფინალი: არგენტინა — პოლანდია 3:1
მონაწილენი: ავსტრალია, არგენტინა, ბრაზილია, გფრ, ესპანეთი, ირანი, იტალია, მექსიკა, პერუ, პოლონეთი, საფრანგეთი, ტუნისი, უნგრეთი, შვედეთი, შოტლანდია, პოლანდია.

1970



მექსიკა (16 მონაწილე)

ფორმატი განმეორდა. მატჩი მესამე ადგილისთვის: გფრ — ურუგვაი 1:0
ფინალი: ბრაზილია — იტალია 4:1
მონაწილენი: ბელგია, ბრაზილია, ბულგარეთი, გფრ, ინგლისი, ისრაელი, იტალია, მაროკო, მექსიკა, პერუ, რუმინეთი, სალვადორი, სსრკ, ურუგვაი, შვედეთი, ჩეხოსლოვაკია.

1982




ესპანეთი (24 მონაწილე)

გუნდების რაოდენობის ზრდამ

ფორმატიც მცირედ შეცვალა: შესარჩევი შეჯიბრებიდან ფინალურ ეტაპზე მოხვდა 22 გუნდი. პირველ ეტაპზე შეიქმნა 6 ოთხგუნდიანი ჯგუფი, მეორე — ოთხი სამგუნდიანი. მესამე ეტაპი ნახევარფინალები გახლდათ, სადაც ისტორიაში პირველად ძირითად და დამატებით დროში ფრის შემთხვევაში გამარჯვებული პენალტებმა გამოავლინა.

მატჩი მესამე ადგილისთვის: პოლონეთი — საფრანგეთი 3:2
ფინალი: იტალია — გფრ 3:1
მონაწილენი: ავსტრია, ალჟირი, არგენტინა, ასალი ზელანდია, ბელგია, ბრაზილია, გფრ, ესპანეთი, ინგლისი, იტალია, იუგოსლავია, კამერუნი, კუვეიტი, პერუ, პოლონეთი, სალვადორი, საფრანგეთი, სსრკ, უნგრეთი, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია, ჩილე, ჩრდილოეთ ირლანდია, პონდურასი.

1986




მექსიკა (24 მონაწილე)

პირველ ჯგუფურ ეტაპამდე იგივე განმეორდა, იქიდან კი მეორე ეტაპზე პირველ და მეორე ადგილებს გარდა ოთხ ჯგუფში მესამე ადგილზე გასულიც გაკვიდა. მეორე ეტაპიდან პლეი-ოფი დაიწყო. მატჩი მესამე ადგილისთვის: საფრანგეთი — ბელგია 4:2დ.დ. (2:2)

ფინალი: არგენტინა — გფრ 3:2
მონაწილენი: ალჟირი, არგენტინა, ბელგია, ბრაზილია, ბულგარეთი, გფრ, დანია, ერაყი, ესპანეთი, კანადა, ინგლისი, იტალია, მაროკო, მექსიკა, პარაგვაი, პოლონეთი, პორტუგალია, სამხრეთ კორეა, საფრანგეთი, სსრკ, უნგრეთი, ურუგვაი, შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია.

1990



იტალია (24 მონაწილე)

ფორმატი განმეორდა მატჩი მესამე ადგილისთვის: იტალია — ინგლისი 2:1
ფინალი: გფრ — არგენტინა 1:0
მონაწილენი: ავსტრია, ა.გ.ე, არგენტინა, აშშ, ბელგია, ბრაზილია, გფრ, ეგვიპტე, ესპანეთი, ინგლისი, ირლანდია,

იტალია, იუგოსლავია, კამერუნი, კოლუმბია, კოსტა რიკა, რუმინეთი, სამხრეთ კორეა, სსრკ, ურუგვაი, შვედეთი, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია, პოლანდია

1994



აშშ (24 მონაწილე)

ფორმატი განმეორდა მატჩი მესამე ადგილისთვის: შვედეთი — ბულგარეთი 4:0
ფინალი: ბრაზილია — იტალია 0:0 (3:2 პენ)
მონაწილენი: არგენტინა, აშშ, ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, ირლანდია, იტალია, კამერუნი, კოლუმბია, მაროკო, მექსიკა, ნიგერია, ნორვეგია, რუმინეთი, რუსეთი, სამხრეთ-დასავლეთი კორეა, საუდის არაბეთი, შვედეთი, შვეიცარია, პოლანდია

1998



საფრანგეთი (32 მონაწილე)

გუნდების რაოდენობა გაიზარდა და შესაბამისად შესარჩევი შეჯიბრებიდან ფინალურ ტურნირზე 30 გუნდი მოხვდა. ჩემპიონი ბრაზილია და მასპინძელი საფრანგეთი უკონკურსოდ გავედნენ. პირველ ეტაპზე შეიქმნა რვა ოთხგუნდიანი ჯგუფი, რომელთა პირველ და მეორე ადგილებზე გასულეებმა მეორე რაუნდიდან პლეი-ოფი ითამაშეს.

მატჩი მესამე ადგილისთვის: სორბეთი — პოლანდია 2:1
ფინალი: საფრანგეთი — ბრაზილია 3:0
მონაწილენი: აშშ, ავსტრალია, არგენტინა, ბელგია, ბრაზილია, ბულგარეთი, კამერუნი, ჩილე, კოლუმბია, სორბეთი, დანია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ირანი, იტალია, იამბიკა, იაპონია, მექსიკა, მაროკო, პოლანდია, ნიგერია, ნორვეგია, პარაგვაი, რუმინეთი, საუდის არაბეთი, შოტლანდია, სამხრეთ აფრიკა, სამხრეთ კორეა, ესპანეთი, ტუნისი, იუგოსლავია.



უსივსატიო, ყვითელი და ლაგაზი

ირაკლი ბაყრაღიაძე

ბეორბე ჰაჯი უკვე აღარ თამაშობს სანაკრებო ფეხბურთს. გვირგვინი ჰაჯი დიდი ფეხბურთელია და თავისი სახელობის სტადიონი აქვს კონსტანციაში. გვირგვინი ჰაჯი დიდი ფეხბურთელი და დიდი თავბურთელია.

რუმინული ფეხბურთის გამომავალი — ეროვნული ნაკრები ჰაჯის გარეშე წარმოდგენილია უფრო სწორად, იმ სულის გარეშე, ამ ფეხბურთელმა რომ განაწინა. ჰაჯის სახელი იმდენად დიდი გახლავთ, რომ მისი გავლენა არა მარტო გუნდის თამაშზე იყო განუხლებელი არამედ მის სულზეც.

რუმინელები რომ საუცხოო ფეხბურთელები არიან, ამას მტკიცება დღეს უხერხულიც კია. ისიც ცხადია, რომ მათ ყოველთვის კარგი მწვრთნელები

ჰყავთ. არც ახლანდელი მესაჭე ლადისლო ბოლონია გამონაკლისი. ბოლონი თავისუფლად ვუწოდებდით ჩაუშესკუს ეპოქის ჰაჯის. სხვა დროს და სხვა სისტემაში ის ბევრად უფრო სახელოვანი ფეხბურთელი იქნებოდა.

არც იმას უნდა დიდი მტკიცება, რომ რუმინელებმა იციან სანაკრებო თამაშში. მათ უფრო ეროვნულ გუნდში გამოსვლა ეს არის წლობით თამაშებული, აწყობილი გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც ყოველი ცვლილება იძულებითი და ფორსილია. აქ ყოველ ადგილს თავისი გამოცდილი და კვალიფიციური პატრონი ჰყავს. ამ ოსტატთა ჩამოთვლა ახლა შორს წავიყვანდა.

რუმინეთის ნაკრები უტენი და თავზეხელაღებული გუნდია. ერთობის და წინსვლის სული დაუოკებელი აქვს ეს,

რა თქმა უნდა, არ არის რაინდული უტენობა და სიამაყე, არამედ უფრო თავბურთელი სიჯობა და არსად, არასდროს უთქვამთ რაიმე რუმინელ ფეხბურთელთა ვენტილმენობის შესახებ. გენიოს ჰაჯის სიტყვებზე ამ გუნდს ერთ-ერთ პრინციპად აქვს თუ სპორტული თავბურთელია მოსაწონია რუმინელთა ცქერისას, ადამიანური გუნდის ამრევი გახლავთ.

და მაინც, მენტალიტეტი ამ გუნდისა ისეთია, რომ ყოველგვარი ხერხით და საქმის ცოდნით ებრძვის თანასწორებსა და სახელით და თამაშით უფრო ძლიერებს. უფრო სუსტებს კი რუმინეთი გუდავს დაუნდობლად, თავზეხელაღებული, ძალის დაზოგვის გარეშე.

რუმინელებს თავისუფლად უთამაშაოთ ჰაჯის გარეშე და დიდი არაფერი დანაკლისი დატყობიათ. არა იმიტომ, რომ ჰაჯი არ სჭირდებოდათ, არამედ იმიტომ, რომ აქვთ ორგანიზების უნარი. ბოლო წლებში, რუმინელები პრაქტიკულად არ აგებენ თუ წავაგებენ და ეს მარცხი აუცილებლად დაემთხვევა ზოლმე გარეგნულ სამეტიჩრო აქციებს, ვთქვათ, გუნდურ თემის შედარებას, ან ჰაჯის თავის გადაპარებას.

რუმინელები იბრძვიან პირველიდან ბოლო წუთამდე ისინი არ იღლებიან. თამაშობენ ევროპის მოწინავე კლუბებში და მას შემდეგ რაც ფეხი მოიკიდეს მსოფლიო სარბიელზე დაბლა არ დაშვებულან. პირიქით, ელიტისკენ სავალ კიბეზე საზინულ ჭეჭეჭაში ერთობილი საფეხურით მაღლაც კი ასივსენ.

ასე რომ, საქართველოს წინა აქვს ორი შეხვედრა მოქნილ, გამოცდილ, ოსტატურ, უტენ და თავზეხელაღებული, რომელსაც ულამაზო სამოსი აცვია, მაგრამ ლამაზი კომბი-



ბეორბე ჰაჯი - თავბურთელი რეჟისორი

ნაციები კი გამოსდის ზოლმე ყველა რუმინელი ტექნიკურია. ყველა რუმინელმა იცის, რომ მოწინააღმდეგე გუნდში მათზე სიმპატიური და კაი ბიჭები რომც თამაშობდნენ, ეს ფეხბურთისთვის არაფერს ნიშნავს სრულიად არაფერს.

24.04.1996. ბუქარესტი. 25 000 მაყურებელი. ამხანაგური მატჩი

რეჟისორი 5:0 საქართველო

1:0, 2:0, 3:0 მოლოდინი (26, 29, 37), 4:0 ლეკეტუში (50), 5:0 გალკა (88)
რუმინეთი (სასტარტო შემადგენლობა): სტელია, ფილიპესკუ, პროდანი, ბელოდფიჩი, ლუბესკუ, პოპესკუ, ლეკეტუში, სბანუ, მოლოდინი, ჰაჯი, დ. მუნტიანუ
მწვრთნელი: ანგელ იორდანესკუ
საქართველო: დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე (სეფაშვილი 77), ჩიხრაძე, კუდინოვი, გოგინიაშვილი (იონანიძე 67), ნემსაძე (გუჩუა 46), ჯამბარული (ცქიტიშვილი 46), ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არგელაძე (გოგრიჭიანი 46)
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
მსაჯი: ა. ზაქარიადისი (საბერძნეთი)

4.02.2000. ლარნაკა. 150 მაყურებელი. კვიპროსის ტურნირი

რეჟისორი 1:1 (გენ.4:2) საქართველო

0:1 ქეცბაია (41), 1:1 ჰილდანი (81)
გენალები: 1:0 ბატრინუ, 1:0 ნემსაძე, 2:0 დუმიტრუ, 2:1 ქეცბაია, 3:1 პეტრე, 3:1 ჯანაშია, 3:1 ნიკულესკუ, 3:2 შვეილაძე, 4:2 მარა
რუმინეთი: ლობონტი, დუმიტრუ, ბატრინუ, მუტიცა, კრივაცი (სტოიკა 55), ბოლონისი, ჰილდანი, მაღდარასანუ (რადუჩანი 80), როსუ (მარა 61), მიჰალჩეა (პეტრე 55), ნიკულაე (რ. ნიკულესკუ 67)
მწვრთნელი: ემერის იენეი
საქართველო: გვარამაძე, ხიზანიშვილი, შვეილაძე, ნემსაძე, ჩიხრაძე, მენთეშაშვილი (ზ. ჯანაშია 46), სიჭინავა, ყაველაშვილი (მ. ძოძუაშვილი 91), ჯამბარული, ქეცბაია, ა. არგელაძე (ქემოკლიძე 67)
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი
მსაჯი: კ. კამბიტანისი (კვიპროსი)



ლიტვა

უსივსატიო ბეორბე ბეორბე

ბეორბე ბეორბე

საზომბალოდ, ლიტვეური ფეხბურთის ამბები ისევე გვიანტერესებს, როგორ ლიტველებს ქართულისა, ისინი კი, ვეჭვობთ, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის თუ ნაკრების მატჩებს გაფაცვიცლებთ ადევნებდნენ თვალს.

1999 წლის 7 დეკემბერს ტოკიოს „ეროვნული ფორუმის“ სასახლეში ფიფას კენერალური მდივნის, მიშელ ზენ რუ-

ლიტვა — საქართველო: 7.10.2000
საქართველო — ლიტვა: 5.09.2001

ფინენის მაღლიანმა (საკითხავია, ვისთვის) ხელმა საქართველოს მეტოქედ ლიტვა არგუნა და ინტერესიც გაჩნდა. ჩვენი ნაცნობობა, გეხსოვებათ, ათი წლის წინ დაიწყო. ლიტვა ის ქვეყანაა, რომელმაც საქართველოსთან საფეხბურთო მეგობრობის სურვილი პირველმა გამოთქვა. მაშინ თბილისში ჩამოსულ ლიტველთა უმრავლესობამ აქ დარჩენა და ქართულ კლუბებში თამაში არჩია. მათგან საუკეთესონი ფრიდრიკასი და მაჩეიკისი იყვნენ, რომლებმაც ლანჩხუთის „გურიას“ მიაშურეს.

გავიდა დრო. საქართველოში ლიტვეური დიასპორა ჯერ შეთხერლდა, მერე კი სულაც გაქრა. ლიტველმა ფეხბურთელებმა

უკეთესი გუნდები მოძებნეს, უკეთესმა გუნდებმა — ლიტველი ფეხბურთელები. თუმცა ყველაფერი პირობითია: აბა, როგორ ვთქვათ, რამათგანის „ჰაკოაზი“ (ებრაული გუნდია), სადაც ღარიბი მაციოლევიჩის თამაშობს, ჩვენს გუნდებს სჯობსო, მაგრამ თავისი ხიბლი (უფრო ფინანსური), ალბათ, მაინც აქვს.

რაკილა ფინანსები ვახსენეთ: ლიტველები ჩვენსავით გაჭირვებულად არ ცხოვრობენ, თუმცა იქაური ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ჩემპიონი მოქალაქისაზე საზარბიელო არაა. თუნდაც იმიტომ, რომ ლიტველ საფეხბურთო ჩინოსანთაგან ტოკიოში გამართულ წილი-სყრას ვერავენ დაეწვრო, გასამგზავრებელი ფული არ შეუგროვდათ. უფულობის წამალს ლიტველი ფეხბურთის მამებიც იქ ეძებენ, სადაც მათი ქართველი კოლეგები. „იტალიასთან მატჩის ტრანსლაციიდან შემოსული ფულით ოდნავ მაინც ამოცნსუნთქავენ“ — ეს ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვიტაუტას ღირმეიკისის სიტყვებია და დაგვეთანხმებით, წყლის ორი წვეთითაც ჰგავს ქართველი ჩინოვნიკების ნაზარევეს.

და ისევ ფეხბურთელები. ზემოთ რამათგანის „ჰაკოაზი“ ვახსენეთ, უსუსტესი გუნდი, რომელშიც ლიტვის ნაკრების

წევრი თამაშობს. თუმცა ობიექტურობისთვის უნდა ვთქვათ, რომ ლიტველები უკეთეს კლუბებშიც არიან გაბნეულნი, თუნდაც ღანიურ „ბრონდბიუში“ (აურელიუს შკარბალიუსი), გერმანულ „დუსელდორფში“ (გინტარას სტაუჩე) და ესპანურ „სოსიედადში“ (ედგარას იანაუსკასი). მაგრამ... ან ჩვენ ან ღირმეიკისი — ამბობენ შკარბალიუსი და სტაუჩე.

ვიტაუტას ღირმეიკისი ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რომ არის, უკვე ვთქვით და რამდენიმე ცნობაც დაუმატოთ. იგი ლიტველი ფეხბურთისთვის ისეთივე ფიგურაა, როგორც ვიანესლავ კოლოსკოვი — რუსულისთვის. მას გამუდმებით ლანძღავენ, მაგრამ მერა ვერ უყვეს, რაც თავი ასსოვს, პრეზიდენტის სავარძელში ზის. აქვე ერთი აუცილებელი განმარტებაც. ღირმეიკისი ოფიციალურად პრეზიდენტი აღარაა, რამდენიმე თვის წინ ზეწოლის შედეგად გადადგა, მაგრამ მისი კვლავაც პრეზიდენტად მოხსენება დიდი შეცდომა არაა და აი, რატომ: ლიტვის ფედერაციის წესდებით, პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში მის მოვალეობებს გენერალური მდივანი ასრულებს. და ვინ არის გენერალური მდივანი? ვიტაუტას ღირმეიკისი.

ზემოთ ფედერაციის გაჭირვებაზე ვთქვით და დავეძინოთ — თუ ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გავა, ჯამში რვა ათას ლოლარს მიიღებს.

27.05.1990. თბილისი. 55 000 მაყურებელი. ამხანაგური

საძარბაველო 2:2 ლიტვა

0:1 ნარბეგოვასი (123), 1:1 გურული (62), 1:2 ბალტუშნიკისი (66), 2:2 კაჭარავა (81)

საქართველო: ბალაძე, კვტაშვილი, ცხადაძე (კაჭარავა 71), კუდინოვი, ფირცხალავა, ნადირაძე, ქეცბაია, რვეიშვილი (თორდაშვილი 46), კორალაძე (ბიგვაია 46), გურული, ფანცულაია (გოგრიჭიანი 46)

მწვრთნელი: გივი ნოძია

ლიტვა: მარტიჩენასი (კონცევიჩიუსი 82), ბუზმაკოვი, ნარუსევიჩიუსი, მაჟეიკისი, იანონისი (ბალტუშნიკისი 17), ტაუტკუსი, ჩირბა, ივანაუსკასი, ფრედრიკასი, სუკრისტიოვი, ნარბეგოვასი

მწვრთნელი: ბენიამინას ზელაიკაიჩიუსი

მსაჯი: მ. შიმიონიშვილი (საქართველო)

2.09.1992. კაუნასი. 4 500 მაყურებელი. ამხანაგური

ლიტვა 1:0 საძარბაველო

1:0 შიკა (90)

ლიტვა: სტაუჩე, სკადასი, მაჟეიკისი, ვინორასი (შიკა 46), ურბონასი (ოლსანსკისი 38), ზდანუსი, ტერეშკინასი, ბალტუშნიკისი, შუტა (სტუმბრისი 73), პოდერისი, შლეიკი (პოციუსი 60)

მწვრთნელი: ალგიმანტას ლიუბინსკასი

საქართველო: დევაძე, გოგიჩაიშვილი, სიდამონიძე, კუდინოვი, გ. ჯიშკარიანი, ცომაია, გ. დარასელია, ჩიქოვანი, რ. არველაძე (ნუსაძე 56), ყიზილაშვილი, შ. არველაძე (დ. ჯანაშია 63)

მწვრთნელი: ანატოლი ნორაკიძე

მსაჯი: ვ. ლისოლაი (ლატვია)

უნგრეთი — საქართველო: 6.06.2001

ოდესლას დიდი ყოფილა...

სოლომონ გულისაშვილი

ამბობენ ქართულ ფეხბურთის იგივე დაემართა რაც უნგრეთისასო. მართლაცა, ერთ დროს მათაც და ჩვენც კარგი, ევროპული დონის ფეხბურთელები გვყავდა, თამაშის სტილი ლალი, ტრადიცია დიდებული. მაგრამ, ჩვენი არ იყო, უნგრელებიც ნელ-ნელა ფეხბურთის განვითარებას ჩამორჩნენ.

ლაიოშ ბაროტი, ცნობილი უნგრელი მწვრთნელი ჯერ კიდევ ოციოდე წლის წინ ამბობდა: „უნგრელები ვერაფრით მიმხვდარან, რომ კარგი ფიზიკური მომზადებისა და ბრძოლისუნარიანობის გარეშე ვერაფერს მიაღწევენ. ისინი კვლავ რომანტიკულ თამაშს ეტრფიან, ურჩევნიათ ბურთის უზადო ფლობით მოაწონონ მაყურებელს თავი. შინაურ ჩემპიონატში ეს კარგად გამოსდით, მაგრამ გარეთ უუნარონი ხდებიან“...

ამ ჩამორჩენამ ის შედეგი გამოიღო, რომ დიდი უნგრული ფეხბურთიდან აღარაფერი დარჩა: აღარც მენტალიტეტი, აღარც სტილი და, რაც მთავარია, თითქოს თაობებს შორის რაღაც გაწყდა, ტრადიცია დაიკარგა...

ბელა ილემი, ფერენც პორვატი, პალ დარდაი, იანუშ პრუტკა, კრისტიან ლირტეში — ეს ფეხბურთელები უნგრელთა დღევანდელი თაობის ლიდერები არიან. თითქოს არა უშუალო, მაგრამ კლასით, ისევე როგორც მთლიანად ნაკრები, ლამის საშუალო ევროპულსაც ვეღარ უტო-

ლდებიან. თუმცა მწვრთნელი ბერტალან ბიჩკეი იმედინადაა, ამ შესარჩევ ციკლს წინებზე უკეთ ჩავატარებთ, იტალიასთან და რუმინეთთან ერთად გველოდნან გასვლის შანსი ჩვენც გვაქვს — ამბობს.

50-ან წლებში უნგრეთის ნაკრებს მსოფლიოში ლამის საუკეთესოდ მიიჩნევდნენ. 1953-ის 25 ნოემბერს ლონდონში „უემბლზე“ ინგლისელებს ნაშ მოუგეს და მათი უძლველობის მითი საბოლოოდ დაამსხვრეს. „დიდი გუნდი“ სამართლიანად დაარქვეს.

1954 წელს 7:1 სძლიეს იმავე ინგლისელებს მერე მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაიბრწყინეს, მაგრამ მოულოდნელად ფინალში ვფრ-სთან 2:3 წააგეს. უნგრელებს მაშინ „უევირგვინი ჩემპიონები“ უწოდეს. პუშკაში, ჰიდეგკუტი, კოჩიში, ბოჟიკი, ციბორი ევროპის ყველა დროის საუკეთესოთა სიაში მოხვდნენ.

ამბობენ, 1958 წლისთვის რომ გუნდი შეენარჩუნებინათ, საკითხავია ვინ გახდებოდა მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია თუ უნგრეთი. მაგრამ 1956-ში მომხდარმა პოლიტიკურმა ამბებმა ბევრი უნგრელი სამშობლოდან გააქცია. მათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობები მიიღეს და „დიდი გუნდის“ ისტორიაც დათავდა. ლეგენდარულმა ფერენც პუშკაშმა 1962 წელს ესპანეთის ღირსება დაიცვა და უნგრეთში პერსონა ნონ გრატად ითვლებოდა.

მსოფლიოს თასის ფინალში უნგრელები 1938 წელსაც გაეიდნენ და იქ იტალიასთან 2:4 წააგეს მწვენიერი გუნდი ჰყა-

უნგრეთი — საქართველო: 6.06.2001

ვდათ 60-იან წლებშიც 1.09.2001 მერე ჩავარდნა დაიწყო. მართალია რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი კიდევ გამოუჩნდათ მაგრამ ეს უკვე სულ სხვა დონე და გაქნება იყო.

1986 წლის 2 ივნისს კი მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე სსრკ-მ ნაშ მოუგო და იმ დღეს უნგრული ფეხბურთი უფსკრულში გადაიჩენა...

აგერ უკვე 14 წელიწადია უნგრელები მნიშვნელოვან ტურნირებზე აღარ გამოჩნებიან. ერთადერთხელ, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში სცადეს კვლავ მარაქში გარევა, მაგრამ სასტიკად დამცირდნენ, იუგოსლავიასთან პლეი ოფი ჯამში 1:2 წააგეს...

იობჰან ჰამარი ფეხით ცას ნძღვაა





სამ მეტრში

მიხეილ სურგულაძე

თითქმის ამოწურული თემაა — „სკუადრა აძურა“ ანუ იტალიის ნაკრები. რა უნდა თქვა ახალი გუნდზე, რომელიც წამლად უწუმ ჩვენგან სამ მეტრშია, ტელევიზორის ეკრანზე? არ არსებობს საერთაშორისო ფეხბურთის მოყვარული ადამიანი ცოტა ტრაპატონი რომ არ იყოს. ყველამ ვიცით ინმაგი ჯობია თუ მეორე ინმაგი, ვიერი თუ დელ ვეკიო, ტოტი თუ დელ პიერო... მოდით, ნულარ გავაგრძელებთ, რადგან დაუწერელი კანონია, სამშობლოს სიყვარულსა და იტალიელი ფეხბურთელების ჩამოთვლაში შეუჯიბრება არ შეიძლება.

მაგრამ, ვინაიდან ბედმა იტალიის ნაკრები საქართველოს გადაჰკიდა, ვალდებულნი ვართ ჩვენგან სამ მეტრში რაიმე ისეთი დავინახოთ... სათქმელი.

აი, მაგალითად, ვგონებთ იტალია იტალიაში 1:0-ს რომ მოგიგებს, არ უნდა იფიქრო, რომ ყოჩაღი ხარ და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს მეტი არ გაატანინე. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ „სკუადრა აძურა“ ყველას 1:0-ს უკებს, შინ ლუქსემბურგის ნაკრებს თუ სტუმრად გერმანიისას. ეს აბენინელთა სტილია.

საქართველოს ეროვნულ გუნდს იტალიაში 0:1 წაგების გამოცდილება აქვს. ეს ამბავი სამი წლის წინ, 1997-ის 9 ოქტომბერს, პერუჯაში მოხდა. პერუჯა იტალიის საშურია, საქართველო კი მეტოქესთან შედარებით მაშინაც აუტსაიდერად ითვლებოდა და ახლაც, ოღონდ მაშინ იმედი გვქონდა და გუნდიც აქა-იქ სასეიროდ თამაშობდა.

ახლანდელი თამაშის ადგილი, ანკონა, პერუჯასთან ახლოსაა...

ხოლო იტალიაზე წერისას მიმოხილველი ძალიან ჰგავს ფიგურულად მოციგურავეს — სავალდებულო პროგრამა აქვს შესასრულებელი. ამჟამად ჩვენი სავალდებულო პროგრამა იმის თქმა გახლავთ, რომ „სკუადრა აძურამ“ ივინისა და იელიის დასაწყისში ევრო 2000-ზე ითამაშა და მეორე ადგილი მოიპოვა. წამის ამბავი იყო, თორემ ჩემბიონობასაც გამოჰკარავდა ხელს — საფრანგეთმა მსაჯის წამატებულ წუთებში გაათანაბრა ანგარიში და დამატებით დროში „ოქროს გოლიც“ შეუგდო — მაგრამ ვერ შეძლო და

იმ ერთ წამს მწვრთნელის, დინო ბოფის თანამდებობა შეეწირა.

შესაბამისად ახლა იტალიელებს ჯოვანი ტრაპატონი ხელმძღვანელობს, ამ ქვეყნის მწვრთნელთაგან ყველაზე ტიტულოვანი, მაგრამ ცოტა მობერებულნი. ისე, კაცმა რომ თქვას დონ ტრაპის ეს მობერება შეიძლება მათთვის სასარგებლოც იყოს, რადგან კლუბში მუშაობას ახალგაზრდული ჯანი სჭირდება, ნაკრებში კი, ვინძლო ჯანი ტრაპატონი ჯობდეს.

თუმცა ტრაპატონისეულმა იტალიამ მსოფლიოს 2002 წლის შესარჩევი ეტაპი ასე თუ ისე მოკრძალებით დაიწყო — უნგრეთში ფრედ 2:2 ითამაშა. ამბობენ ფრე მწვრთნელის ექსპერიმენტის ბრალი იყო.

თუმცა, რას აღარ ამბობენ. ჩვენზეც, მათზეც... მაგრამ კაცი ბჭობდა, დემრთი იცინოდა.

9.10.1996. პერუჯა. 17 000 მაყურებელი.
მსოფლიოს 1998 ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

იტალია 1:0 საქართველო

1:0 რავანელი (42)

იტალია: ტოლდო, პესოტო, მალდინი, ნესტა, ფერარა, კარბონი (ძოლა 16), დი ლივიო (პანუჩი 81), კონტე (დ. ბაჯო 59), კაზირაზი, დი მატეო, რავანელი

მწვრთნელი: არიგო საკი

საქართველო: ზოიძე, ლობჯანიძე, ცხადაძე, შელია, კუდინოვი (ინალიზვილი 46), გოგინიაშვილი, ნემსაძე, კობიაშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, გოგორიჭიანი (რ. არველაძე 30)

მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

მსაჯი: ლ. ბლარო (ბელგია)

10.09.1997. თბილისი. 60 000 მაყურებელი.
მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საქართველო 0:1 იტალია

საქართველო: ტოგონიძე, შევილაძე, ცხადაძე (კალაძე 19), შელია, ჩიხრაძე, კობიაშვილი, ა. არველაძე (გ. დარასელია 79), ყაველაშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე (გოგინიაშვილი 65), შ. არველაძე

მწვრთნელი: დავით ვიფიანი

იტალია: პერუცი, ნესტა, მალდინი, დ. ბაჯო, კანავარო, ფერარა, ლომბარდო (რ. ბაჯო 71), დი ლივიო, ვიერი (კაზირაგი 67), დი მატეო, ძოლა (ფ. ინმაგი 81)

მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი

მსაჯი: რ. პედერსენი (ნორვეგია)

სამი წლის წინ 9 ოქტომბერს პერუჯის "რენატო ხარიზა" იტალიელთაგან ჩართვლაში რავანელის გოლის წყალობით დამარცხდა









ათასწლეულის ოლიმპიადა

ეს გახლავთ ზაფხულის 27-ე ოლიმპიადა. ის ქვეყნის დასალიერში, ავსტრალიაში, სიდნეიში გაიმართა და მას ათასწლეულის ოლიმპიადა უწოდეს. კარს 2000 წელი გვიდგას, წელი, რომელიც სახელმწიფოთა ნაწილმა ახალი ათასწლეულის დასაწყისად მიიჩნია, ნაწილმაც ძველის დასასრულად, ხოლო ოლიმპიურმა მოძრაობამ მოდავეთა შორის ჩვეულები-სამებრ ზავი ჩამოაგდო და კამათის საგანს სიტყვები ახალი და ძველი ჩამოაშორა.

ათასწლეულის თამაშებმა მეორე ბოლოდან მთელი დედამიწა დაიპყრო. ჯერ მხოლოდ სპორტში, მაგრამ სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეა გაერთიანა დაიხ, ჯერ მხოლოდ სპორტში, მაგრამ საქართველოს ნაბიჯი წინ გადაადგმევინა.

ექვსი ბრინჯაო, რომელთაგან ზოგი შესაძლებლობებზე მეტი იყო, ზოგიც,

როგორც გაირკვა ნაკლები, მაგრამ მაინც მედალი გახლავთ — აი, მწვანე კონტინენტიდან ქართველ ოლიმპიელთა წამოდებული განძი.

ველოდით? არა!
ათასწლეულის თამაშებმა დიდი სპორტის მოყვარულთ ათასი დიდი წამი უძღვნა, რაც თავსა და ბოლოდან გახსნია და დახურვის ბრწყინვალე ცერემონიალებით გახლავთ შეკრული.

მაგრამ, ქართული ბრინჯაოთი მარილმოყრილი.

დახედეთ მედალთა განაწილებას, დახედეთ მედალოსან ქვეყანათა რაოდენობას და ნუ დაივიწყებთ, რომ ოლიმპიადაზე 199 ქვეყანა გამოდიოდა.

ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ უკეთ შეგვიძლია და გვმართებს!

ოთხი წლის შემდეგ მსოფლიოს და ქართველ ოლიმპიელებს ათენი ელის, ოლიმპიადების სამშობლო.

ქვეყანა	ო	პ	ბ
აშშ	39	25	33
რუსეთი	32	28	28
ჩინეთი	28	16	15
ავსტრალია	16	25	17
გერმანია	14	17	26
საფრანგეთი	13	14	11
იტალია	13	8	13
ჰოლანდია	12	9	4
კუბა	11	11	7
დიდი ბრიტანეთი	11	10	7
რუმინეთი	11	6	9
კორეა	8	9	11
უნგრეთი	8	6	3
პოლონეთი	6	5	3
იაპონია	5	8	5
ბულგარეთი	5	6	2
საბერძნეთი	4	6	3
შვედეთი	4	5	3
ნორვეგია	4	3	3
ეთიოპია	4	1	3
უკრაინა	3	10	10
ყაზახეთი	3	4	0
ბელარუსი	3	3	11
კანადა	3	3	8
ესპანეთი	3	3	5
თურქეთი	3	0	1
ირანი	3	0	1
ჩეხეთი	2	3	3
კენია	2	3	2
დანია	2	3	1
ფინეთი	2	1	1
ავსტრია	2	1	0
ლიტვა	2	0	3
აზერბაიჯანი	2	0	1
სლოვენია	2	0	0
შვეიცარია	1	6	2
ინდონეზია	1	3	2
სლოვაკეთი	1	3	1
მექსიკა	1	2	3
ალჟირი	1	1	3
უზბეკეთი	1	1	2
იუგოსლავია	1	1	1
ლატვია	1	1	1
ბაჰამები	1	1	0
ახალი ზელანდია	1	0	3
ტაილანდი	1	0	2
ესტონეთი	1	0	2
ხორვატია	1	0	1
მოზამბიკი	1	0	0
კოლუმბია	1	0	0
კამერუნი	1	0	0
ბრაზილია	0	6	6
იამაიკა	0	4	3
ნიგერია	0	3	0
სამხრეთ აფრიკა	0	2	3
ბელგია	0	2	3
არგენტინა	0	2	2
ტაივანი	0	1	4
მაროკო	0	1	4
ჩრდილოეთ კორეა	0	1	3
ტრინიდადი	0	1	1
საუდეთი	0	1	1
მოლდოვა	0	1	1
ფიჯინამი	0	1	0
ურუგვაი	0	1	0
ირლანდია	0	1	0
საქართველო	0	0	6
პორტუგალია	0	0	2
კოსტა რიკა	0	0	2
ყატარი	0	0	1
მაკედონია	0	0	1
შრი ლანკა	0	0	1
ქუვეითი	0	0	1
ყირგიზეთი	0	0	1
ისრაელი	0	0	1
ისლანდია	0	0	1
ინდოეთი	0	0	1
ჩილე	0	0	1
ბარბადოსი	0	0	1
სომხეთი	0	0	1

ბრინჯაოს მედალი

სილენიში ექვსჯერ აღიმა-
რთა საქართველოს დროშა. ექვს-
ჯერვე სხვადასხვა ქვეყნის პიძნის
თანხლებით და ფლაგმეტის მარ-
ცხენა მხარეს. ეს ნიშნავს, რომ
ქართველმა სპორტსმენებმა ოლი-
მპიურ თამაშებზე ექვსი ბრინჯაოს
მედალი მოიპოვეს.

ოთხი წლის წინ, ატლანტის თა-
მაშებზე დაწყებული ქართული
ოლიმპიზმის „ბრინჯაოს ხანა“ სი-
ლენიში მიუღწევად ვიორგი ვა-
ზაგაშვილმა (66კგ) გააგრძელა. ამ
პრავაღმზრებმა და პრავაღმზრე-
ვანმა ფალავანმა ერთ მარცხს სუ-
თი წმინდა გამარჯვება მოუტაცვლა
და პირადი მედლების მდიდარი კო-
ლექცია ოლიმპიური ვიდეოთი შე-
იკვსო.

640 გრამი ის წონაა, რომელმაც
ქართველ ძალოსან ვიორგი ასანი-
ძეს (85კგ) ერთი ხელის გაწვდენა-
ზე მყოფი ოქროს მედალი ბრინჯაო-
სად გადაუქცია. ვიორგიმ, ბერძე-
ნმა ჩემპიონმა პაროს დიძასმა და
გერმანელმა ვერცხლისმედალოსა-
ნმა მარკ ჰუსტერმა ორჭიდის ვა-
